

შპს NTS

**მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს NTS

შინაარსი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა	7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. ძირითადი საშუალებები	16
5. მარაგები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	17
8. საიჯარო ვალდებულება	17
9. საგადასახადო ვალდებულება	18
10. პერსონალის ხარჯები	18
11. სხვა საოპერაციო ხარჯები	18
12. მიღებული სესხები	18
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	260,125	93,776	54,952
არამატერიალური აქტივები		685	685	685
სულ გრძელვადიანი აქტივები		260,810	94,461	55,637
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	289,098	427,003	100,746
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	618,563	78,530	65,254
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	630,987	55,688	41,199
სულ მიმდინარე აქტივები		1,538,648	561,221	207,199
სულ აქტივები		1,799,458	655,682	262,836
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		318,437	468,354	105,393
სულ საკუთარი კაპიტალი		318,437	468,354	105,393
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		956,747	72,486	114,870
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	8	93,236	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,049,983	72,486	114,870
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	-	750
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	8	17,668	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9	394,333	90,706	11,350
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		19,037	24,136	30,473
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		431,038	114,842	42,573
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,799,458	655,682	262,836

დირექტორი
17.02.2021

ბუღალტერი
17.02.2021

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		4,100,495	2,288,280
გამოყენებული მარაგების თვითღირებულება		(2,178,077)	(822,176)
პერსონალის ხარჯები	10	(1,403,434)	(714,567)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(26,032)	(31,577)
სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(252,551)	(210,678)
საოპერაციო მოგება		240,401	509,282
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(14,406)	(9,232)
საპროცენტო ხარჯი		(54,425)	(16,027)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), ნეტო		(411)	2,216
მოგება დაბეგვრამდე		171,159	486,239
მოგების გადასახადის ხარჯი		(48,161)	(18,492)
წმინდა მოგება		122,998	467,747
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება		122,998	467,747

დირექტორი
17.02.2021

ბუღალტერი
17.02.2021

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ
1 იანვარი 2018	-	105,393	105,393
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		467,747	467,747
გადახდილი დივიდენდი		(104,786)	(104,786)
31 დეკემბერი 2018	-	468,354	468,354
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		122,998	122,998
გადახდილი დივიდენდი		(272,915)	(272,915)
31 დეკემბერი 2019	-	318,437	318,437

დირექტორი
17.02.2021

ბუღალტერი
17.02.2021

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	122,998	467,747
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	26,032	31,577
ძირითადი საშუალების გასვლა	8,681	350
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	157,711	499,674
მარაგების შემცირება/ (ზრდა)	137,904	(326,257)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	(540,033)	(13,276)
საგადასახადოვალდებულების ზრდა/(შემცირება)	303,627	79,356
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(5,099)	(6,336)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	54,110	233,161
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(84,726)	(70,751)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(84,726)	(70,751)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული /დაბრუნებული სესხები	884,263	(43,134)
ფინანსურ იჯარაზე გადახდები	(5,432)	-
გადახდილი დივიდენდები	(272,915)	(104,787)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	605,916	(147,921)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	575,299	14,489
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	55,688	41,199
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	630,987	55,688

დირექტორი
17.02.2021ბუღალტერი
17.02.2021

1. კომპანიის აღწერა

შპს NTS დაფუძნდა 2011 წლის 5 დეკემბერს მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 404920591.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., №7, ბ. №57.

შპს NTS-ს დამფუძნებლები არიან:

მაია ლეჟავა, 01023011879 - 50%

ზაზა ჭანტურია, 42001006632 - 50%

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - ზვიად მიმინოშვილი, 42001006571.

კომპანიის ძირითად ბიზნესს წარმოადგენს: სახანძრო მომსახურების საქმიანობები, სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები.

2019 წლის 30 ოქტომბერს შპს NTS-მა სხვა საზოგადოებასთან ერთად 50%-იანი მონაწილეობით დააფუძნა საწარმო შპს აი ენ გრუპი, ს.ნ.: 402148840, რომელიც ამჟამად არ საქმიანობს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2018 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად,

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები**თავდაპირველი აღიარება**

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებია:

ჯგუფი**მომსახურების ვადები**

მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები
ოფისის აღჭურვილობა

5-10 წელი

3-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებულია 10 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს,

რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ, ცენტრალური გათბობა-გაგრილებისთვის, სახანძრო უსაფრთხოებისთვის და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებად ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სამშენებლო ხელშეკრულებები - თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღირსეო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვალეობის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

ობის დაცვის მიზნით.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ფინანსური იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალება	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	54,707	-	7,644	62,351
შემოსვლა	7,786	-	62,965	70,751
გასვლა	-	-	(350)	(350)
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	62,493	-	70,259	132,752
შემოსვლა	12,729	129,237	59,095	201,061
გასვლა	-	-	(8,681)	(8,681)
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	75,222	129,237	120,673	325,132
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(2,782)	-	(4,617)	(7,399)
ცვეთა 2018	(10,329)	-	(21,248)	(31,577)
გასვლა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(13,111)	-	(25,865)	(38,976)
ცვეთა 2019	(9,826)	(4,308)	(11,897)	(26,031)
გასვლა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(22,937)	(4,308)	(37,762)	(65,007)
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	51,925	-	3,027	54,952
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	49,382	-	44,394	93,776
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	52,285	124,929	82,911	260,125

5. მარაგები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
გამოსაყენებელი მარაგები	283,591	427,003	100,746
დაუმთავრებელი წარმოება	4,808	-	-
მზა პროდუქცია	699	-	-
სულ	289,098	427,003	100,746

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	426,406	49,091	35,842
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	192,157	29,439	29,413
სულ	618,563	78,530	65,254

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
ფული ბანკში	579,752	55,508	41,138
ფული სალაროში	51,235	180	61
სულ	630,987	55,688	41,199

8. საიჯარო ვალდებულება

	31.12.2019
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	93,236
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	17,668
სულ	110,904

	31.12.2019
1 წლის განმავლობაში	38,610
საიჯარო ვალდებულებაზე გადასახდელი თანხები	
1-დან 5 წლამდე	141,569
საიჯარო ვალდებულებაზე გადასახდელი თანხები	
5 წელზე მეტ დროში	-
საიჯარო ვალდებულებაზე გადასახდელი თანხები	
სულ ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხები	180,178
აქედან გადასახდელი პროცენტი	69,274
გადასახდელი ძირითადი თანხა	110,904

9. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

10. პერსონალის ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	1,378,718	712,410
საპენსიო გადასახდელები	21,895	-
დაზღვევა	2,821	2,157
სულ	1,403,434	714,567

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
ოფისის მომსახურება	43,327	13,742
კომუნიკაციის ხარჯები	3,289	652
კომუნალური ხარჯი	4,310	1,641
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	1,692	136
გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	41,200	89,985
ტრანსპორტირება/საკურიერო მომსახურების ხარჯი	9,101	711
ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯები	27,494	10,623
ბანკის საკომისიო	16,358	7,178
მარკეტინგული ხარჯები	7,290	3,007
საპროექტო ხარჯი	98,490	82,267
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	735
2019	252,551	210,678

12. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შედგება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებისაგან. სესხები აღებულია როგორც ლარში ასევე ევროში.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მექანიზმებით.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ბრუნვები და 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ.

	2019	2018
საქონლის შეძენა დირექტორისგან	310	-
სულ	310	-

	2019	2018
მიღებული სესხი დირექტორისგან	-	8,028
სულ	-	8,028

	2019	2018
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	297,807	192,438
სულ	297,807	192,438

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გასაცემი ანაზღაურების ნაშთი პერიოდის ბოლოს ნულის ტოლია.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღებული და დაფარული სასესხო ვალდებულებები

შპს NTS-მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე აიღო სესხები ჯამურად 1,923,214 ლარის ღირებულებით, ხოლო დაფარა 336,354 ლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება.

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა

შპს NTS-ს დაარიცხა შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო ვალდებულება 266,836 ლარის ოდენობით (2020 წლის 29 დეკემბრის N:39304 ბრძანების მიხედვით), რაც გასაჩივრებულია ადმინისტრაციული წარმოების წესით, თუმცა დღეისთვის აღნიშნულ საგადასახადო ვალდებულების შემცირებასთან მიღებული არ არის გადაწყვეტილება.

პანდემიის გავლენა

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID 19). 2020 წელს ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული ვირუსის ფართოდ გავრცელებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, მათ შორის კომპანიის გაყიდვებიც რამდენიმე თვით შეჩერებული იყო 2020-ში, დაგეგმილთან შედარებით ფაქტიური მონაცემები გაუარესდა, თუმცა ფუნქციონირებადობას საფრთხე არ დამუქრებია.


15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს NTS-ის დირექტორმა 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 17 თებერვალს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	260,125	93,776	54,952
არამატერიალური აქტივები		685	685	685
სულ გრძელვადიანი აქტივები		260,810	94,461	55,637
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	289,098	427,003	100,746
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	618,563	78,530	65,254
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	630,987	55,688	41,199
სულ მიმდინარე აქტივები		1,538,648	561,221	207,199
სულ აქტივები		1,799,458	655,682	262,836
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		318,437	468,354	105,393
სულ საკუთარი კაპიტალი		318,437	468,354	105,393
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		956,747	72,486	114,870
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	8	93,236	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,049,983	72,486	114,870
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	-	750
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	8	17,668	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9	394,333	90,706	11,350
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		19,037	24,136	30,473
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		431,038	114,842	42,573
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,799,458	655,682	262,836


დირექტორი
17.02.2021



ბუღალტერი
17.02.2021

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		4,100,495	2,288,280
გამოყენებული მარაგების თვითღირებულება		(2,178,077)	(822,176)
პერსონალის ხარჯები	10	(1,403,434)	(714,567)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(26,032)	(31,577)
სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(252,551)	(210,678)
საოპერაციო მოგება		240,401	509,282
წმინდა ზარალი საკუთროს სხვაობიდან		(14,406)	(9,232)
საპროცენტო ხარჯი		(54,425)	(16,027)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), ნეტო		(411)	2,216
მოგება დაბეგვრამდე		171,159	486,239
მოგების გადასახადის ხარჯი		(48,161)	(18,492)
წმინდა მოგება		122,998	467,747
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება		122,998	467,747


დირექტორი
17.02.2021



ბუღალტერი
17.02.2021

შპს NTS

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ
1 იანვარი 2018	-	105,393	105,393
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		467,747	467,747
გადახდილი დივიდენდი		(104,786)	(104,786)
31 დეკემბერი 2018	-	468,354	468,354
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		122,998	122,998
გადახდილი დივიდენდი		(272,915)	(272,915)
31 დეკემბერი 2019	-	318,437	318,437


დირექტორი
17.02.2021


ბუღალტერი
17.02.2021


შპს NTS

ფულადი ნაკადების ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	122,998	467,747
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	26,032	31,577
ძირითადი საშუალების გასვლა	8,681	350
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	157,711	499,674
მარაგების შემცირება/ (ზრდა)	137,904	(326,257)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	(540,033)	(13,276)
საგადასახადოვალდებულების ზრდა/(შემცირება)	303,627	79,356
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(5,099)	(6,336)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	54,110	233,161
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(84,726)	(70,751)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(84,726)	(70,751)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული /დაბრუნებული სესხები	884,263	(43,134)
ფინანსურ იჯარაზე გადახდები	(5,432)	-
გადახდილი დივიდენდები	(272,915)	(104,787)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	605,916	(147,921)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	575,299	14,489
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	55,688	41,199
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	630,987	55,688



დირექტორი
17.02.2021



ბუღალტერი
17.02.2021